ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032605079-03
თარიღი: 19.02.2026 13:53
ვადა: 23.03.2026

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01260501380 განცხადების თარიღი: 19.02.2026
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად საკრებულოს დადგენილების პროექტების წარდგენის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032605079-03
19.02.2026 : 13:53
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01260501380**
თარიღი: **19/02/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 30 (ოცდაათი) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 26.233.277
16 / თებერვალი / 2026 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი 07 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ე.ა" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი 07 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება
2026 წლის _____
ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესი.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) (შემდგომში – პროგრამა) განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში პროექტების დაფინანსების პირობებს და პროცედურებს, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფიზიკური პირების პროგრამაში მონაწილეობის წესს.

2. პროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

3. ამ წესის განხორციელების მიზნით, საპროექტო განაცხადებს განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შექმნილი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს შესაბამისი კომისია.

4. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დაფინანსებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამაში „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

5. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამით „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსებაზე და მათ მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

6. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამით „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, სამსახურის მიერ საკუთარი კომპეტენციის შესასრულებლად და მისივე ორგანიზებით კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახორციელებელ ქმედებებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გადინების დასაშვები ზღვარი - მონაწილეთა პროფესიული კურსიდან გასვლის მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი (10%), რომლის ფარგლებშიც პროექტის დაფინანსება არ ექვემდებარება შემცირებას;

ბ) განმცხადებელი - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად, სამსახურში წარადგენს საპროექტო განაცხადს;

გ) ელექტრონული პლატფორმა - სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებულ საპროექტო განაცხადში მითითებული ვებგვერდი, სადაც ხორციელდება პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია;

დ) მონაწილე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 16 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირი, რომელიც შერჩეულია პროექტის განმახორციელებლის მიერ და სარგებლობს დაფინანსებული პროფესიული კურსით;

ე) პროგრამა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამა „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04);

ვ) პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირი - ფიზიკური პირი, რომელიც ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრაციით, გამოხატავს ნებას პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;

ზ) პროექტი - ამ წესის შესაბამისად საპროექტო განაცხადით წარდგენილი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელთა მიზანია:

ზ.ა) მონაწილეთა პროფესიული მომზადება ან/და გადამზადება;

ზ.ბ) მომზადებულ/გადამზადებულ პირთა დასაქმების ხელშეწყობა სხვადასხვა აქტივობის (მათ შორის: კარიერული კონსულტირების, დასაქმების ფორუმის, პრაქტიკისა თუ სტაჟირების) მეშვეობით;

თ) პროექტის განმახორციელებელი - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის საპროექტო განაცხადიც დაფინანსდა ამ წესის შესაბამისად;

ი) პროფესიული კურსი - საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების კურსი;

კ) საბანკო გარანტია - ბანკის, სხვა საკრედიტო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობი წერილობითი ვალდებულება;

ლ) სამსახური – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური;

მ) საპროექტო განაცხადი - სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული საპროექტო განაცხადის ფორმა თანდართული დოკუმენტაციით, რომელსაც განმცხადებელი წარადგენს სამსახურში დაფინანსების მისაღებად.

ნ) ხელშეკრულება - პროგრამის ფარგლებში, ამ წესის შესაბამისად განხილული და დაფინანსებული პროექტის შესახებ, სამსახურსა და პროექტის განმახორციელებელს შორის დადებული ხელშეკრულება.

მუხლი 3. საპროექტო განაცხადის წარდგენა და შეფასების კრიტერიუმები

1. დაფინანსების მისაღებად განმცხადებელმა უნდა მიმართოს სამსახურს წერილობითი განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით.

2. წარდგენილი საპროექტო განაცხადის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის - „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი: 07 04) პრიორიტეტებსა და მიზნებს.
3. სამსახურში საპროექტო განაცხადის წარდგენის ვადები განისაზღვრება სამსახურის უფროსის ბრძანებით.
4. წარდგენილი საპროექტო განაცხადის ამ წესით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში განსახილველად წარუდგენს კომისიას.
5. თუ საპროექტო განაცხადის შესწავლისას დადგინდა, რომ წარდგენილი საპროექტო განაცხადი არ შეესაბამება პროგრამის პრიორიტეტებს, არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს, საპროექტო განაცხადი კომისიას არ ეგზავნება განსახილველად და განმცხადებელს ეცნობება უარყოფითი პასუხი.
6. სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ამოწმებს საპროექტო განაცხადის შესაბამისობას ამ წესით და სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებულ ფორმასთან, აგრეთვე წარდგენილი დოკუმენტაციის სისრულეს. იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო განაცხადი არ შეესაბამება დადგენილ ფორმას ან/და წარდგენილია არასრული დოკუმენტაცია, სამსახური განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.
7. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი არ განიხილება.
8. თუ პროექტის განხორციელების დაწყებამდე დარჩენილია 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები, საპროექტო განაცხადი არ განიხილება.
9. კომისია უფლებამოსილია განიხილოს განმცხადებლის მიერ ამ მუხლის მე-8 პუნქტში დადგენილი ვადის დარღვევით წარდგენილი საპროექტო განაცხადი იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან/და განმცხადებლის მიერ წარდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე კომისია მიზანშეწონილად ჩათვლის აღნიშნული საპროექტო განაცხადის განხილვას.

მუხლი 4. საპროექტო განაცხადის განხილვა და დაფინანსება

1. კომისია განიხილავს საპროექტო განაცხადს და გასცემს რეკომენდაციას პროექტის სრული დაფინანსების, ნაწილობრივი დაფინანსების, კორექტირების საჭიროების ან დაფინანსებაზე უარის შესახებ.
2. საპროექტო განაცხადის განხილვისას და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება საპროექტო განაცხადის შესაბამისობა დადგენილ პრიორიტეტებთან, მისი განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, პროექტის დასაბუთებულობა, ბიუჯეტის ოპტიმალურობა, თანადაფინანსების არსებობა, განმცხადებლისა და პროექტში ჩართული პირების გამოცდილება.

3. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს, საპროექტო განაცხადის კომისიის მიერ დადებითი შეფასების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე იღებს სამსახურის უფროსი.
4. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს, კომისია, დადებითი შეფასების შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, შემდგომში პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან წარსადგენად.
5. კორექტირების საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს საპროექტო განაცხადის შესწორებული ვარიანტის წარდგენა გონივრულ ვადაში.
6. სამსახურს უფლება აქვს განმცხადებელს/პროექტის განმახორციელებელს ნებისმიერ ეტაპზე მოსთხოვოს მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება და აღმოჩენილი ხარვეზის გასწორება.
7. საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). პროექტის განმახორციელებელს თანხა გადაერიცხება ასევე ეროვნულ ვალუტაში.

მუხლი 5. პროფესიულ კურსზე რეგისტრაცია და მონაწილეთა შერჩევის წესი

1. პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის ვადებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი ბრძანებით. რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულ პლატფორმაზე.
2. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი რეგისტრაციის პროცესში უფლებამოსილია აირჩიოს პროფესიული კურსები ელექტრონულ პლატფორმაზე.
3. პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ, ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრირებული პირების მონაცემები, მათ მიერ არჩეული პროფესიული კურსების მიხედვით, გადაეცემა შესაბამის განმახორციელებლებს.
4. პროგრამის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის, მონაცემთა გადაცემა პროექტის განმახორციელებლისთვის, ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მხოლოდ პროგრამის ადმინისტრირების, მონაწილეთა შერჩევის, პროგრამის მიმდინარეობის კონტროლისა და სტატისტიკური ანალიზის მიზნით. მონაცემთა მიმღები სუბიექტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება.
5. მონაწილეთა შერჩევას და პროგრამაში მონაწილეობას უზრუნველყოფენ პროექტის განმახორციელებლები, ხელშეკრულების, პროექტის პირობების და პროფესიული კურსების მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად.
6. რეგისტრაციის ერთი ეტაპის ფარგლებში, მონაწილეს უფლება აქვს გაიაროს მხოლოდ ერთი პროფესიული კურსი.

მუხლი 6. ხელშეკრულების დადება

1. სამსახურსა და პროექტის განმახორციელებელს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. ხელშეკრულების დადების საფუძველია სამსახურის უფროსის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

3. ხელშეკრულების დადების, შეცვლის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4. ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში არსებითი პირობების ცვლილება ხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. ფინანსური გაანგარიშების/ხარჯთაღრიცხვის პუნქტებში მითითებული თანხების ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე, პროექტის მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 10%-ის ფარგლებში, საპროექტო განაცხადში მითითებული პროექტის განხორციელების ვადის დასრულებამდე.

მუხლი 7. დაფინანსების ადმინისტრირება

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით პროგრამებისთვის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი საპროექტო განაცხადის დაფინანსებას სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე.

2. სამსახური უფლებამოსილია პროექტის დაფინანსება გასცეს ეტაპობრივად.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, პროექტის დაფინანსება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროპორციულად, პროექტის დასრულების და სამსახურში შესაბამისი ანგარიშგების წარდგენის შემდეგ, ან წინასწარი ანგარიშსწორების სახით - სამსახურისთვის წარდგენილი საბანკო გარანტიის თანხის იდენტური ოდენობით.

4. პროექტის განმახორციელებელი უფლებამოსილია ობიექტური აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წინასწარ მიმართოს სამსახურს წერილობით, ბიუჯეტის პუნქტებს შორის თანხების გადანაწილების თაობაზე საპროექტო განაცხადში მითითებული პროექტის განხორციელების ვადის დასრულებამდე.

5. პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია განახორციელოს ფინანსების ხარჯვა მიზნობრივად, ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. კონტროლის განხორციელება

1. ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების და პროექტის შესრულების კონტროლს ახორციელებს სამსახური (სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული).

2. პროექტის დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა, პროექტის განმახორციელებელმა, ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სამსახურში უნდა წარადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახსრების მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები ან/და დოკუმენტების

ასლები, აგრეთვე, შესრულების ანგარიში სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

3. სამსახურისთვის წარდგენილ ანგარიშში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელს ელექტრონული ფოსტის მისამართზე ეცნობება არსებული ხარვეზის შესახებ. ხარვეზის გამოსწორება უნდა მოხდეს ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი არ წარადგენს ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშს, დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს სამსახურის მიერ მითითებულ ხარვეზს ან წარდგენილ დოკუმენტაციაში არსებულ თანხებზე არ ექნება ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამისი განმარტება, იგი ვალდებულია შესაბამისი თანხა დააბრუნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სამსახურის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, ხოლო ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროპორციულად, პროექტის დასრულების და სამსახურში შესაბამისი ანგარიშგების წარდგენის შემდეგ, სამსახური დაფინანსებას განახორციელებს მხოლოდ დადასტურებული ხარჯების შესაბამისად.

6. ამ წესის საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტი ჩაითვლება ჯეროვნად განხორციელებულად, თუ პროექტის განმახორციელებელი უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი პროფესიული კურს(ებ)ის ჩატარებას და ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) უზრუნველყოფს პროფესიული კურსის ჩატარებას კვალიფიციური პერსონალის (ინსტრუქტორის/ტრენერის/ლექტორის) მიერ, წინასწარ შეთანხმებული სასწავლო განრიგის და მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და სათანადო სასწავლო გარემოს;

გ) უზრუნველყოფს პროფესიული კურსის ხელმისაწვდომობას კურსის მონაწილეთათვის, საპროექტო განაცხადით განსაზღვრულ დროს და ადგილზე.

7. პროფესიული კურსის მონაწილის მიერ კურსის შეწყვეტა, რაც განპირობებულია მონაწილის პირადი ნებით და არ არის გამოწვეული პროექტის განმახორციელებლის ქმედებით ან უმოქმედობით, არ წარმოადგენს სამსახურის მხრიდან დაფინანსების დაბრუნების მოთხოვნის ან დაფინანსების შეჩერების საფუძველს, თუ შესაბამის პროფესიულ კურსზე აქტიურ მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს ამავე კურსისთვის განსაზღვრული მონაწილეების რაოდენობის არანაკლებ 90 პროცენტს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით სარგებლობისთვის, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია, პროფესიულ კურსზე მონაწილეთა შენარჩუნების მიზნით, გამოიჩინოს გონივრული ძალისხმევა, რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

ა) კურსის შეწყვეტის მაღალი რისკის მქონე მონაწილისთვის დამატებითი კონსულტაციის ან/და ინდივიდუალური მხარდაჭერის შეთავაზებას;
ბ) კურსზე მონაწილეობის შეწყვეტის მიზეზების გარკვევის მცდელობას და შესაბამის დოკუმენტირებას.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული გონივრული ძალისხმევის დადასტურების მიზნით, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის:
ა) კომუნიკაციის ამსახველი მასალები - ელექტრონული ფოსტით მიმოწერის ასლები ან/და სხვა სახის შეტყობინებები, რომლითაც დასტურდება მონაწილესთან დაკავშირების მცდელობა;
ბ) მონაწილის წერილობითი განმარტება - პროფესიული კურსის შეწყვეტის მიზეზების მითითებით (ასეთის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში);
გ) შიდა ორგანიზაციული აქტი (ოქმი) - დგება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილესთან ვერ ხერხდება კომუნიკაციის დამყარება ან ეს უკანასკნელი უარს აცხადებს შესაბამისი წერილობითი განმარტების წარდგენაზე. ოქმში დეტალურად უნდა აისახოს მონაწილესთან დაკავშირების მცდელობის თარიღები, კომუნიკაციის საშუალებები და მიღებული შედეგი.
10. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული კურსიდან გადინებული მონაწილეთა რაოდენობა მეტი აღმოჩნდება გადინების დასაშვებ ზღვარზე, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული თანხა/სამსახური ვალდებულია შეაჩეროს დაფინანსება (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში), გადინების დასაშვები ზღვრის მიღმა არსებული მონაწილეების რაოდენობის პროპორციულად.
11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დასაბრუნებელი ან დაფინანსების შეჩერებას დაქვემდებარებული თანხის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კურსის ღირებულება იყოფა ამავე კურსისთვის განსაზღვრულ მონაწილეთა საერთო რაოდენობაზე და მრავლდება გადინების დასაშვებ ზღვარს მიღმა მყოფ გადინებულ მონაწილეთა რაოდენობაზე.
12. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი ვერ წარმოადგენს ამ მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ის ვალდებულია დააბრუნოს მიღებული თანხა/სამსახური ვალდებულია შეაჩეროს დაფინანსება (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში), გადინებული მონაწილეების რაოდენობის პროპორციულად.
13. პროექტებზე, რომელთა მიზანია მხოლოდ ამ წესის მე-2 მუხლის „ზ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომზადებულ/გადამზადებულ მონაწილეთა დასაქმების ხელშეწყობა, არ ვრცელდება ამ წესის მე-5 მუხლი, ასევე ამ მუხლის მე-6 - მე-12 პუნქტები.

განკარგულება - N 26.247.278
17 / თებერვალი / 2026 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება
2026 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 12/02/2019; N010260300.35.101.016576) და დადგენილების:

ა) პირველი მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი“, დანართ №2-ის შესაბამისად.“;

ბ) პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესის“ (დანართი N2):

ბ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი“;

ბ.ბ) პირველი მუხლის:

ბ.ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების პირობებს, დაფინანსების გაცემის წესსა და პროცედურებს.“;

ბ.ბ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დაფინანსებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამებში: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.“;

ბ.ბ.გ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამებით: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსებაზე და მათ მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

6. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამებით: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, სამსახურის მიერ საკუთარი კომპეტენციის შესასრულებლად და მისივე ორგანიზებით კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახორციელებელ ქმედებებზე.“;

ბ.გ) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამსახურის უფროსი უფლებამოსილია ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების მიზნით განსაზღვროს საპროექტო განაცხადის მიღების ვადა, თემატიკა და პრიორიტეტები.“;

ბ.დ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამებით: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) გათვალისწინებულ პრიორიტეტებს.“;

ბ.ე) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ქვეპროგრამებისთვის: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსებას, სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე.“;

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება
2026 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 12/02/2019; N010260300.35.101.016576) და დადგენილების:

1. პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი“, დანართ №2-ის შესაბამისად.“;

2. დანართი N2-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი“;

3. დანართი N2-ის პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული

ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების პირობებს, დაფინანსების გაცემის წესსა და პროცედურებს.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დაფინანსებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამებში: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.“;

გ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამებით: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსებაზე და მათ მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

6. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამებით: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, სამსახურის მიერ საკუთარი კომპეტენციის შესასრულებლად და მისივე ორგანიზებით კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახორციელებელ ქმედებებზე.“;

4. დანართი N2-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამსახურის უფროსი უფლებამოსილია ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების მიზნით განსაზღვროს საპროექტო განაცხადის მიღების ვადა, თემატიკა და პრიორიტეტები.“;

5. დანართი N2-ის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამებით: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) გათვალისწინებულ პრიორიტეტებს.“;

6. დანართი N2-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ქვეპროგრამებისთვის: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) გამოყოფილი ასიგნებების

ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსებას, სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე.“;

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ზურაბ აბაშიძე**
საკრებულოს თავმჯდომარე

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის
განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

პროექტის მიღების მიზეზია პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) (შემდგომში- პროგრამა) სპეციფიკიდან გამომდინარე მისი გამოყოფა საერთო სამართლებრივი ჩარჩოდან. პროგრამის მასშტაბების ზრდის გამო, დღემდე მოქმედი ზოგადი წესი ვეღარ უზრუნველყოფს ამ სფეროსთვის დამახასიათებელი დეტალების სრულყოფილ რეგულირებას. შესაბამისად, რადგან აღნიშნული პროგრამისთვის მზადდება დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტი, აუცილებელია მისი ამოღება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) რეგულირების სფეროდან, რათა გამოირიცხოს ნორმათა დუბლირება და შეიქმნას მკაფიო საკანონმდებლო საფუძველი პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიზანია დადგენილების შესაბამისობაში მოყვანა ახალ სამართლებრივ რეალობასთან, ნორმატიული აქტების ჰარმონიზაცია და სამართლებრივი კოლიზიის პრევენცია, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ერთი და იმავე პროგრამის ორი სხვადასხვა წესით რეგულირების შემთხვევაში. ცვლილების მიზანია უზრუნველყოს პროგრამის გამიჯვნა სხვა საბიუჯეტო ქვეპროგრამებისგან და ხელი შეუწყოს მუნიციპალური სერვისების უფრო ეფექტურ და მოქნილ ადმინისტრირებას, რაც საბოლოო ჯამში ორიენტირებულია ბენეფიციართა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათ რეალურ დასაქმებაზე.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი N2) სათაურში, პრეამბულასა და ძირითად ტექსტში, რის შედეგადაც აღარ იქნება დადგენილების რეგულირების სფეროში. პროექტი ითვალისწინებს დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული წესის იმგვარ რედაქტირებას, რომ აღნიშნული ზოგადი წესი კვლავაც დაარეგულირებს მხოლოდ „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01) და „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) ქვეპროგრამებს. ცვლილებით დანართი N2-ით დამტკიცებული წესი ყალიბდება ახალი რედაქციით, საიდანაც მთლიანად არის ამოღებული პროგრამასთან დაკავშირებული ყველა პროცედურული საკითხი, ვინაიდან მათი რეგულირება განხორციელდება სპეციალური, დამოუკიდებელი დადგენილებით.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

დადგენილების ინიციატორის მოსაზრებით პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება
2026 წლის _____
ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესი.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ზურაბ აბაშიძე**
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) (შემდგომში – პროგრამა) განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში პროექტების დაფინანსების პირობებს და პროცედურებს, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფიზიკური პირების პროგრამაში მონაწილეობის წესს.

2. პროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

3. ამ წესის განხორციელების მიზნით, საპროექტო განაცხადებს განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შექმნილი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს შესაბამისი კომისია.

4. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დაფინანსებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამაში „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

5. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამით „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსებაზე და მათ მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

6. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამით „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, სამსახურის მიერ საკუთარი კომპეტენციის შესასრულებლად და მისივე ორგანიზებით კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახორციელებელ ქმედებებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გადინების დასაშვები ზღვარი - მონაწილეთა პროფესიული კურსიდან გასვლის მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი (10%), რომლის ფარგლებშიც პროექტის დაფინანსება არ ექვემდებარება შემცირებას;

ბ) განმცხადებელი - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად, სამსახურში წარადგენს საპროექტო განაცხადს;

გ) ელექტრონული პლატფორმა - სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებულ საპროექტო განაცხადში მითითებული ვებგვერდი, სადაც ხორციელდება პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია;

დ) მონაწილე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 16 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირი, რომელიც შერჩეულია პროექტის განმახორციელებლის მიერ და სარგებლობს დაფინანსებული პროფესიული კურსით;

ე) პროგრამა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამა „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04);

ვ) პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირი - ფიზიკური პირი, რომელიც ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრაციით, გამოხატავს ნებას პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;

ზ) პროექტი - ამ წესის შესაბამისად საპროექტო განაცხადით წარდგენილი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელთა მიზანია:

ზ.ა) მონაწილეთა პროფესიული მომზადება ან/და გადამზადება;

ზ.ბ) მომზადებულ/გადამზადებულ პირთა დასაქმების ხელშეწყობა სხვადასხვა აქტივობის (მათ შორის: კარიერული კონსულტირების, დასაქმების ფორუმის, პრაქტიკისა თუ სტაჟირების) მეშვეობით;

თ) პროექტის განმახორციელებელი - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის საპროექტო განაცხადიც დაფინანსდა ამ წესის შესაბამისად;

ი) პროფესიული კურსი - საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების კურსი;

კ) საბანკო გარანტია - ბანკის, სხვა საკრედიტო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობი წერილობითი ვალდებულება;

ლ) სამსახური – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური;

მ) საპროექტო განაცხადი - სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული საპროექტო განაცხადის ფორმა თანდართული დოკუმენტაციით, რომელსაც განმცხადებელი წარადგენს სამსახურში დაფინანსების მისაღებად.

ნ) ხელშეკრულება - პროგრამის ფარგლებში, ამ წესის შესაბამისად განხილული და დაფინანსებული პროექტის შესახებ, სამსახურსა და პროექტის განმახორციელებელს შორის დადებული ხელშეკრულება.

მუხლი 3. საპროექტო განაცხადის წარდგენა და შეფასების კრიტერიუმები

1. დაფინანსების მისაღებად განმცხადებელმა უნდა მიმართოს სამსახურს წერილობითი განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით.

2. წარდგენილი საპროექტო განაცხადის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის - „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი: 07 04) პრიორიტეტებსა და მიზნებს.
3. სამსახურში საპროექტო განაცხადის წარდგენის ვადები განისაზღვრება სამსახურის უფროსის ბრძანებით.
4. წარდგენილი საპროექტო განაცხადის ამ წესით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში განსახილველად წარუდგენს კომისიას.
5. თუ საპროექტო განაცხადის შესწავლისას დადგინდა, რომ წარდგენილი საპროექტო განაცხადი არ შეესაბამება პროგრამის პრიორიტეტებს ან არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს, საპროექტო განაცხადი კომისიას არ ეგზავნება განსახილველად და განმცხადებელს ეცნობება უარყოფითი პასუხი.
6. სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ამოწმებს საპროექტო განაცხადის შესაბამისობას ამ წესით და სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებულ ფორმასთან, აგრეთვე წარდგენილი დოკუმენტაციის სისრულეს. იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო განაცხადი არ შეესაბამება დადგენილ ფორმას ან/და წარდგენილია არასრული დოკუმენტაცია, სამსახური განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.
7. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი არ განიხილება.
8. თუ პროექტის განხორციელების დაწყებამდე დარჩენილია 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები, საპროექტო განაცხადი არ განიხილება.
9. კომისია უფლებამოსილია განიხილოს განმცხადებლის მიერ ამ მუხლის მე-8 პუნქტში დადგენილი ვადის დარღვევით წარდგენილი საპროექტო განაცხადი იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან/და განმცხადებლის მიერ წარდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე კომისია მიზანშეწონილად ჩათვლის აღნიშნული საპროექტო განაცხადის განხილვას.

მუხლი 4. საპროექტო განაცხადის განხილვა და დაფინანსება

1. კომისია განიხილავს საპროექტო განაცხადს და გასცემს რეკომენდაციას პროექტის სრული დაფინანსების, ნაწილობრივი დაფინანსების, კორექტირების საჭიროების ან დაფინანსებაზე უარის შესახებ.
2. საპროექტო განაცხადის განხილვისას და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება საპროექტო განაცხადის შესაბამისობა დადგენილ პრიორიტეტებთან, მისი განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, პროექტის დასაბუთებულობა, ბიუჯეტის ოპტიმალურობა, თანადაფინანსების არსებობა, განმცხადებლისა და პროექტში ჩართული პირების გამოცდილება.

3. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს, საპროექტო განაცხადის კომისიის მიერ დადებითი შეფასების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე იღებს სამსახურის უფროსი.
4. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს, კომისია, დადებითი შეფასების შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, შემდგომში პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან წარსადგენად.
5. კორექტირების საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს საპროექტო განაცხადის შესწორებული ვარიანტის წარდგენა გონივრულ ვადაში.
6. სამსახურს უფლება აქვს განმცხადებელს/პროექტის განმახორციელებელს ნებისმიერ ეტაპზე მოსთხოვოს მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება და აღმოჩენილი ხარვეზის გასწორება.
7. საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). პროექტის განმახორციელებელს თანხა გადაერიცხება ასევე ეროვნულ ვალუტაში.

მუხლი 5. პროფესიულ კურსზე რეგისტრაცია და მონაწილეთა შერჩევის წესი

1. პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის ვადებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი ბრძანებით. რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულ პლატფორმაზე.
2. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი რეგისტრაციის პროცესში უფლებამოსილია აირჩიოს პროფესიული კურსები ელექტრონულ პლატფორმაზე.
3. პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ, ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრირებული პირების მონაცემები, მათ მიერ არჩეული პროფესიული კურსების მიხედვით, გადაეცემა შესაბამის განმახორციელებლებს.
4. პროგრამის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის, მონაცემთა გადაცემა პროექტის განმახორციელებლისთვის, ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მხოლოდ პროგრამის ადმინისტრირების, მონაწილეთა შერჩევის, პროგრამის მიმდინარეობის კონტროლისა და სტატისტიკური ანალიზის მიზნით. მონაცემთა მიმღები სუბიექტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება.
5. მონაწილეთა შერჩევას და პროგრამაში მონაწილეობას უზრუნველყოფენ პროექტის განმახორციელებლები, ხელშეკრულების, პროექტის პირობების და პროფესიული კურსების მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად.
6. რეგისტრაციის ერთი ეტაპის ფარგლებში, მონაწილეს უფლება აქვს გაიაროს მხოლოდ ერთი პროფესიული კურსი.

მუხლი 6. ხელშეკრულების დადება

1. სამსახურსა და პროექტის განმახორციელებელს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. ხელშეკრულების დადების საფუძველია სამსახურის უფროსის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

3. ხელშეკრულების დადების, შეცვლის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4. ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში არსებითი პირობების ცვლილება ხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. ფინანსური გაანგარიშების/ხარჯთაღრიცხვის პუნქტებში მითითებული თანხების ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე, პროექტის მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 10%-ის ფარგლებში, საპროექტო განაცხადში მითითებული პროექტის განხორციელების ვადის დასრულებამდე.

მუხლი 7. დაფინანსების ადმინისტრირება

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით პროგრამებისთვის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი საპროექტო განაცხადის დაფინანსებას სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე.

2. სამსახური უფლებამოსილია პროექტის დაფინანსება გასცეს ეტაპობრივად.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, პროექტის დაფინანსება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროპორციულად, პროექტის დასრულების და სამსახურში შესაბამისი ანგარიშგების წარდგენის შემდეგ, ან წინასწარი ანგარიშსწორების სახით - სამსახურისთვის წარდგენილი საბანკო გარანტიის თანხის იდენტური ოდენობით.

4. პროექტის განმახორციელებელი უფლებამოსილია ობიექტური აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წინასწარ მიმართოს სამსახურს წერილობით, ბიუჯეტის პუნქტებს შორის თანხების გადანაწილების თაობაზე საპროექტო განაცხადში მითითებული პროექტის განხორციელების ვადის დასრულებამდე.

5. პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია განახორციელოს ფინანსების ხარჯვა მიზნობრივად, ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. კონტროლის განხორციელება

1. ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების და პროექტის შესრულების კონტროლს ახორციელებს სამსახური (სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული).

2. პროექტის დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა, პროექტის განმახორციელებელმა, ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სამსახურში უნდა წარადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახსრების მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები ან/და დოკუმენტების

ასლები, აგრეთვე, შესრულების ანგარიში სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

3. სამსახურისთვის წარდგენილ ანგარიშში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელს ელექტრონული ფოსტის მისამართზე ეცნობება არსებული ხარვეზის შესახებ. ხარვეზის გამოსწორება უნდა მოხდეს ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი არ წარადგენს ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშს, დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს სამსახურის მიერ მითითებულ ხარვეზს ან წარდგენილ დოკუმენტაციაში არსებულ თანხებზე არ ექნება ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამისი განმარტება, იგი ვალდებულია შესაბამისი თანხა დააბრუნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სამსახურის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, ხოლო ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროპორციულად, პროექტის დასრულების და სამსახურში შესაბამისი ანგარიშგების წარდგენის შემდეგ, სამსახური დაფინანსებას განახორციელებს მხოლოდ დადასტურებული ხარჯების შესაბამისად.

6. ამ წესის საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტი ჩაითვლება ჯეროვნად განხორციელებულად, თუ პროექტის განმახორციელებელი უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი პროფესიული კურს(ებ)ის ჩატარებას და ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) უზრუნველყოფს პროფესიული კურსის ჩატარებას კვალიფიციური პერსონალის (ინსტრუქტორის/ტრენერის/ლექტორის) მიერ, წინასწარ შეთანხმებული სასწავლო განრიგის და მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და სათანადო სასწავლო გარემოს;

გ) უზრუნველყოფს პროფესიული კურსის ხელმისაწვდომობას კურსის მონაწილეთათვის, საპროექტო განაცხადით განსაზღვრულ დროს და ადგილზე.

7. პროფესიული კურსის მონაწილის მიერ კურსის შეწყვეტა, რაც განპირობებულია მონაწილის პირადი ნებით და არ არის გამოწვეული პროექტის განმახორციელებლის ქმედებით ან უმოქმედობით, არ წარმოადგენს სამსახურის მხრიდან დაფინანსების დაბრუნების მოთხოვნის ან დაფინანსების შეჩერების საფუძველს, თუ შესაბამის პროფესიულ კურსზე აქტიურ მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს ამავე კურსისთვის განსაზღვრული მონაწილეების რაოდენობის არანაკლებ 90 პროცენტს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით სარგებლობისთვის, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია, პროფესიულ კურსზე მონაწილეთა შენარჩუნების მიზნით, გამოიჩინოს გონივრული ძალისხმევა, რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

ა) კურსის შეწყვეტის მაღალი რისკის მქონე მონაწილისთვის დამატებითი კონსულტაციის ან/და ინდივიდუალური მხარდაჭერის შეთავაზებას;
ბ) კურსზე მონაწილეობის შეწყვეტის მიზეზების გარკვევის მცდელობას და შესაბამის დოკუმენტირებას.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული გონივრული ძალისხმევის დადასტურების მიზნით, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის:
ა) კომუნიკაციის ამსახველი მასალები - ელექტრონული ფოსტით მიმოწერის ასლები ან/და სხვა სახის შეტყობინებები, რომლითაც დასტურდება მონაწილესთან დაკავშირების მცდელობა;
ბ) მონაწილის წერილობითი განმარტება - პროფესიული კურსის შეწყვეტის მიზეზების მითითებით (ასეთის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში);
გ) შიდა ორგანიზაციული აქტი (ოქმი) - დგება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილესთან ვერ ხერხდება კომუნიკაციის დამყარება ან ეს უკანასკნელი უარს აცხადებს შესაბამისი წერილობითი განმარტების წარდგენაზე. ოქმში დეტალურად უნდა აისახოს მონაწილესთან დაკავშირების მცდელობის თარიღები, კომუნიკაციის საშუალებები და მიღებული შედეგი.
10. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული კურსიდან გადინებული მონაწილეთა რაოდენობა მეტი აღმოჩნდება გადინების დასაშვებ ზღვარზე, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული თანხა/სამსახური ვალდებულია შეაჩეროს დაფინანსება (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში), გადინების დასაშვები ზღვრის მიღმა არსებული მონაწილეების რაოდენობის პროპორციულად.
11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დასაბრუნებელი ან დაფინანსების შეჩერებას დაქვემდებარებული თანხის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კურსის ღირებულება იყოფა ამავე კურსისთვის განსაზღვრულ მონაწილეთა საერთო რაოდენობაზე და მრავლდება გადინების დასაშვებ ზღვარს მიღმა მყოფ გადინებულ მონაწილეთა რაოდენობაზე.
12. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი ვერ წარმოადგენს ამ მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ის ვალდებულია დააბრუნოს მიღებული თანხა/სამსახური ვალდებულია შეაჩეროს დაფინანსება (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში), გადინებული მონაწილეების რაოდენობის პროპორციულად.
13. პროექტებზე, რომელთა მიზანია მხოლოდ ამ წესის მე-2 მუხლის „ზ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომზადებულ/გადამზადებულ მონაწილეთა დასაქმების ხელშეწყობა, არ ვრცელდება ამ წესის მე-5 მუხლი, ასევე ამ მუხლის მე-6 - მე-12 პუნქტები.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის
განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობას და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადება/გადამზადებას. ბოლო წლების განმავლობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“ (კოდი 07 04) (შემდგომში - პროგრამა) ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და შედეგზე ორიენტირებული მუნიციპალური პროექტი.

დღემდე პროგრამის ადმინისტრირება ხორციელდებოდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილების საფუძველზე. აღნიშნული ნორმატიული აქტი ატარებს ზოგად ხასიათს და წარმოადგენს საერთო სამართლებრივ ჩარჩოს სხვადასხვა ტიპის პროგრამებისა და ქვეპროგრამებისთვის. შესაბამისად, იგი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური დეტალების სრულყოფილ რეგულირებას, რაც აფერხებს პროცესის ეფექტიან მართვას და კონტროლს.

პროგრამის განვითარების დინამიკამ, მონაწილეთა რაოდენობის ზრდამ და კერძო საგანმანათლებლო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავებამ წარმოშვა სპეციალური სამართლებრივი რეგულაციის საჭიროება. წარმოდგენილი პროექტის შემუშავება განპირობებულია პროფესიული მომზადებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის შინაარსობრივი და პროცედურული სრულყოფის აუცილებლობით. დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საპროექტო განაცხადების შეფასების, დაფინანსების, მონიტორინგის პროცედურების ოპტიმიზაციას, მონაწილე მხარეთა ვალდებულებების დიფერენციაციას და მუნიციპალური რესურსების რაციონალურ ხარჯვას, რაც აუცილებელი წინაპირობაა პროგრამის ეფექტიანად წარმართვისთვის.

წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება პროფესიული განათლების სპეციფიკაზე მორგებული რეგულაციები, რომლებიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- **ბენეფიციართა წრის გაფართოება** - ასაკობრივი ზღვარის 16 წლამდე დაწევა და პროფესიულ განათლებაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა;
- **კონკურენტული გარემოს შექმნა** - პროგრამის გახსნა კერძო სექტორისთვის (შპს), რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსების მრავალფეროვნებასა და ხარისხის ზრდას;
- **ადმინისტრირების ოპტიმიზაცია** - მცირე და საშუალო მოცულობის პროექტებზე (30 000 ლარამდე) გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაჩქარება სამსახურის დონეზე და ფისკალური რისკების დაზღვევა საბანკო გარანტიის მექანიზმით;
- **შედეგზე ორიენტირებული დაფინანსება** - ანაზღაურების მოდელის პირდაპირი დაკავშირება მონაწილეთა შენარჩუნების (გადინების) ზღვართან.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

დადგენილების პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს პროგრამის სრული ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და მისი მორგება თანამედროვე შრომის ბაზრის დინამიკაზე. მუნიციპალიტეტის სტრატეგიული ამოცანაა შექმნას ისეთი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც არა მხოლოდ ფორმალურ სწავლებაზე იქნება ორიენტირებული, არამედ რეალურ შედეგზე - მოქალაქეთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათ შემდგომ

დასაქმებაზე. წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესის დეცენტრალიზაციას და ლიბერალიზაციას, რაც კერძო საგანმანათლებლო სექტორის რესურსის სრულფასოვანი ათვისებით და ჯანსაღი კონკურენციის სტიმულირებით უნდა იქნეს მიღწეული.

წარმოდგენილი პროექტის უმნიშვნელოვანესი სოციალური მიზანია იმ ახალგაზრდების მხარდაჭერა, რომლებსაც საკუთარი პოტენციალის რეალიზებისთვის ახალი შესაძლებლობები სჭირდებათ. პროგრამა მათ სთავაზობს პრაქტიკული ცოდნის შეძენას და პროფესიული წინსვლისთვის აუცილებელ გარემოს, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას შრომის ბაზარზე.

ამ სოციალური მიზნის პარალელურად, პროექტი ამკვიდრებს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობისა და ხარისხის კონტროლის ახალ სტანდარტს. კერძოდ, დაფინანსების მოდელი პირდაპირ უკავშირდება კონკრეტულ შედეგს, რაც გამოიხატება სტუდენტთა შენარჩუნების მაღალი მაჩვენებლის დაწესებასა და ფინანსური გარანტიების მექანიზმების შემოღებაში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროექტის განმახორციელებელთა მოტივირებას, რათა მათი საქმიანობა ორიენტირებული იყოს არა მხოლოდ მონაწილეთა რაოდენობაზე, არამედ სწავლების მაღალ ხარისხსა და ბენეფიციართა შენარჩუნებაზე.

პროცესის სრულყოფისთვის, დადგენილების პროექტი ასევე ითვალისწინებს პროგრამის ადმინისტრირების ოპტიმიზაციასა და მუნიციპალური სერვისის მოქნილობის გაზრდას. სამსახურის უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების ფინანსური ზღვრის გაზრდა უზრუნველყოფს პროგრამის ოპერატიული მართვის გაუმჯობესებას. საბოლოოდ, წარმოდგენილი ცვლილებებით თბილისში ყალიბდება დასაქმების ხელშეწყობის მდგრადი მოდელი, რომელიც იქნება მოქნილი ბენეფიციარებისთვის, მიმზიდველი კერძო სექტორისთვის და მაღალი საზოგადოებრივი სიკეთის მომტანი.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესი, რომელიც სისტემურად აწესრიგებს პროგრამის განხორციელების თითოეულ ეტაპს:

მუხლი 1 (ზოგადი დებულებანი): განისაზღვრება პროგრამის განხორციელების სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც აწესრიგებს პროექტების დაფინანსების პროცედურას და ქალაქ თბილისში რეგისტრირებული პირების მონაწილეობის პირობებს. მუხლში პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტად განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ხოლო საპროექტო განაცხადების შეფასება ეკისრება დარგობრივ კომისიას. ამასთანავე, მოცემული რეგულაციით ხდება პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მკაფიო გამიჯვნა სხვა საბიუჯეტო წყაროებისგან, რაც ხელს უწყობს მუნიციპალური რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და გამორიცხავს ფინანსური სახსრების გადაფარვას საბიუჯეტო ფინანსურ რესურსებს შორის.

მუხლი 2 (ტერმინთა განმარტება): ემსახურება პროგრამის ადმინისტრირების პროცესში სამართლებრივი სიზუსტისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას. მასში მოცემული ტერმინოლოგიური ბაზა მკაფიოდ საზღვრავს მხარეთა სტატუსს, საგანმანათლებლო კურსების ტიპებსა და იმ ტექნიკურ ინსტრუმენტებს (მაგალითად, ელექტრონულ პლატფორმას), რაც აუცილებელია პროგრამის გამჭვირვალობისთვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „გადინების დასაშვები ზღვრის“ ცნებას, რომელიც პირველად აკონკრეტებს მონაწილეთა კურსიდან გასვლის მაქსიმალურ - 10%-იან მაჩვენებელს. მაჩვენებელს, როგორც ხარისხის კონტროლის მექანიზმს. ამასთანავე, ტერმინთა განმარტებით ზუსტდება „პროექტის განმახორციელებლის“ სტატუსი, რაც საშუალებას იძლევა პროგრამაში ჩაერთონ როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო საბანკო გარანტიის ინსტრუმენტის შემოტანა ქმნის მყარ

სამართლებრივ საფუძველს მუნიციპალური სახსრების რაციონალური და დაზღვეული მართვისთვის.

მუხლი 3 (საპროექტო განაცხადის წარდგენა და შეფასების კრიტერიუმები): ადგენს საპროექტო განაცხადის წარდგენის და მისი ფორმალური თუ შინაარსობრივი შეფასების პროცედურულ წესს. რეგულაციის თანახმად, სამსახური ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინასწარ შესწავლას, რაც გულისხმობს პროექტის შესაბამისობის დადგენას პროგრამის პრიორიტეტებთან და ხარვეზების იდენტიფიცირებას კომისიისთვის წარდგენამდე. მუხლით მკაფიოდ არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ვადები, მათ შორის პროექტის დაწყებამდე 20-დღიანი პერიოდის დაცვის ვალდებულება, რაც სამსახურს საშუალებას აძლევს, ჯეროვნად შეაფასოს საპროექტო წინადადება. ამასთანავე, წესი ითვალისწინებს ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობას, ხოლო კომისიას ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტების განხილვაზე, რაც პროცესს მეტ მოქნილობას სძენს.

მუხლი 4 (საპროექტო განაცხადის განხილვა და დაფინანსება): პროექტის მე-4 მუხლი აწესრიგებს საპროექტო განაცხადების შინაარსობრივი განხილვისა და დაფინანსების მრავალსაფეხურიან მექანიზმს. მასში მოცემული კრიტერიუმები კომისიას ავალდებულებს პროექტის შეფასებას ბიუჯეტის ოპტიმალურობის, გამოცდილებისა და მუნიციპალური მიზანშეწონილობის ჭრილში. აღსანიშნავია გადაწყვეტილების მიღების დიფერენცირებული წესი, რომლის მიხედვითაც 30 000 ლარამდე მოცულობის პროექტებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს ადმინისტრაციულ პროცესს, ხოლო აღნიშნულ ზღვარს ზემოთ არსებული პროექტები საჭიროებენ მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობას. გარდა ამისა, მუხლი სამსახურს ანიჭებს უფლებამოსილებას, ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს დოკუმენტაციის დაზუსტება, რაც უზრუნველყოფს საპროექტო პროცესის მუდმივ კონტროლს და ფინანსური რესურსების მიზნობრივ გამოყენებას.

მუხლი 5 (პროფესიულ კურსზე რეგისტრაცია და მონაწილეთა შერჩევის წესი): დადგენილების პროექტის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის გამჭვირვალე მექანიზმს, რომელიც სრულად ეფუძნება ელექტრონული მართვის პრინციპებს. მუხლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პროგრამაში ჩართულობის ასაკობრივი ბარიერის გადახედვა და მისი 16 წლამდე დაწევა. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს იმ მოზარდების დროულ პროფესიულ ორიენტაციას, რომლებიც საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ საგანმანათლებლო პროცესის მიღმა რჩებოდნენ. მუხლით რეგულირდება რეგისტრაციის პროცესი სპეციალურ ელექტრონულ პლატფორმაზე, რაც გამორიცხავს სუბიექტურ ჩარევას საწყის ეტაპზე და უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მსურველისთვის. მნიშვნელოვანი სამართლებრივი ასპექტია პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები მონაცემთა გადაცემის პროცესში, რაც ავალდებულებს პროექტის განმახორციელებელს დაიცვას კონფიდენციალურობის მაღალი სტანდარტი. მუხლი ასევე აკონკრეტებს მონაწილეთა შერჩევის პროცესში პროექტის განმახორციელებლების პასუხისმგებლობას და ადგენს სამართლიან შეზღუდვას - რეგისტრაციის ერთი ეტაპის ფარგლებში მხოლოდ ერთი პროფესიული კურსის გავლის უფლებას, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსის რაციონალურ განაწილებას და პროგრამის ხელმისაწვდომობის ზრდას.

მუხლი 6 (ხელშეკრულების დადება): განსაზღვრავს სამსახურსა და პროექტის განმახორციელებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების ფორმატს, რომელიც ეფუძნება სამსახურის უფროსის ან მუნიციპალიტეტის მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილებას. მუხლით მკაცრად რეგულირდება ხელშეკრულების პირობების შეცვლის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შორის სტაბილურ და პროგნოზირებად თანამშრომლობას. არსებითი სამართლებრივი დათქმა ეხება ბიუჯეტის კორექტირების მექანიზმს, რომელიც ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 10%-ის ფარგლებში, რაც პროექტის განმახორციელებელს ანიჭებს გარკვეულ ოპერაციულ მოქნილობას, ხოლო სამსახურს უნარჩუნებს ფინანსური პარამეტრების მკაცრ კონტროლს.

მუხლი 7 (დაფინანსების ადმინისტრირება): აწესრიგებს დაფინანსების

ადმინისტრირებისა და საბიუჯეტო ასიგნებების განკარგვის წესს. რეგულაცია ითვალისწინებს დაფინანსების ეტაპობრივი გაცემის შესაძლებლობას, რაც სამსახურს პროცესის კონტროლის დამატებით ბერკეტს აძლევს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან ანგარიშსწორების წესს, სადაც ფინანსური რისკების დასაზღვევად შემოტანილია საბანკო გარანტიის ინსტრუმენტი ან მომსახურების ანაზღაურება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის საფუძველზე. მუხლი ასევე უშვებს პროექტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის მექანიზმს ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, თუმცა მკაცრად განსაზღვრავს პროექტის განმახორციელებლის ვალდებულებას სახსრების მიზნობრივი ხარჯვის თაობაზე, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების მართვის მაღალ პასუხისმგებლობას.

მუხლი 8 (კონტროლის განხორციელება): განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს კონტროლისა და ფინანსური ანგარიშგების მკაცრ მექანიზმს. მასში დეტალურად არის გაწერილი ანგარიშგების წარდგენის ვადები და ხარვეზების გამოსწორების პროცედურა, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივ ხარჯვას. მუხლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია 10%-იანი გადინების დასაშვები ზღვარის დაწესება, რომელიც პროექტის განმახორციელებელს ავალდებულებს, გამოიჩინოს გონივრული ძალისხმევა მონაწილეთა შესანარჩუნებლად. აღნიშნული რეგულაცია აკავშირებს დაფინანსების მოცულობას სწავლების ხარისხთან: კურსიდან მონაწილეთა ჭარბი გადინების შემთხვევაში, სამსახური იტოვებს უფლებას, პროპორციულად შეამციროს ანაზღაურება ან მოითხოვოს თანხის დაბრუნება. ამავდროულად, მუხლი ადგენს მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებას, რაც სისტემას უფრო მეტად ორიენტირებულს ხდის არა მხოლოდ სწავლების პროცესზე, არამედ რეალურ შედეგზე.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

დადგენილების ინიციატორის მოსაზრებით პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.